საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბესაძე ოთარ დავითის ძე

აბესაძე ოთარ დავითის ძე (26. V. 1934, სოფ. ქვედა საქარა, ზესტაფონის მუნიციპ., – 5. XI. 1980, თბილისი), კინორეჟისორი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1979).

დაამთავრა საკავშ. კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1959, ს. გერასიმოვის სახელოსნო). გადაღებული აქვს ქართული მხატვრული ფილმები: „კარდაკარ“ (1960, რეჟ. მ. კოკოჩაშვილთან ერთად), „საზაფხულო მოთხრობები“ (კინონოველა „სალამური“, 1954), „მალე გაზაფხული მოვა“ (1967, დიპლომი ტაშკენტის აზიისა და აფრიკის ხალხთა I საერთაშ. კინოფესტივალზე, 1968), „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი“ (1970), „ანარეკლი“ (1974), „ესკულაპის მოწაფე“ (1977) და სხვ. იგი ყველა თავისი ფილმის სცენარის თანაავტორიცაა. თავის შემოქმედებაში ა. მთავარ ყურადღებას უთმობდა მორალურ-ეთიკურ თემებს, თანამედროვე ყოფის ასახვას, ქალაქისა და სოფლის ურთიერთობას, ბუნების დაცვის პრობლემებს.

ა. გვენცაძე